

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირთა მოწვევის თაობაზე

ქ. ბათუმი

29 ივნისი 2017 წ

1. ზეპირი მოსმენა ეხება - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2017-2018 წლების პროგრამულ პრიორიტეტების (ტელევიზიისა და რადიოს ნაწილში) პროექტების და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას;
2. ზეპირ მოსმენას აწყობს - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭო;
3. ზეპირი მოსმენა ტარდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, რომლის საფუძველია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35⁹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „კ“ ქვეპუნქტები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-3 ნაწილი, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის N01-01/07 გადაწყვეტილება - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს (ტელევიზიის და რადიოს ნაწილში) 2017-2018 წლების პროგრამულ პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ (გამოქვეყნებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს ვებ-გვერდზე პროგრამული პრიორიტეტების პროექტთან ერთად -ajaratv.ge).
4. ზეპირი მოსმენის დრო - 2017 წლის 07 ივლისი, 18:00 საათი;
5. ზეპირი მოსმენის ადგილი - ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N62/64 (ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი)
6. განცხადება განთავსდეს ვებ-გვერდზე „ajaratv.ge“